საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2018



14.06.2019

www.geostat.ge

14.06.2019

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2018 წელი)

სასაკლაოები

2018 წელს საქართველოში 112 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 22.3 პროცენტი - ქვემო ქართლში, 14.3 პროცენტი - კახეთში, 13.4 პროცენტი - შიდა ქართლში, 11.6 პროცენტი - იმერეთში, 9.8 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 28.6 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2018 წელი



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში 2018 წელს მოქმედ სასაკლაოებში დღის განმავლობაში მაქსიმუმ 43,768 ერთეული პირუტყვისა და ფრინველის დაკვლა იყო შესაძლებელი (ნაკლავის შესაძლო მაქსიმალური დღიური მოცულობა).

2018 წლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 583.3 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 30.4 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 69.6 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 10,979.5 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2018 წლის განმავლობაში 43,774.7 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 40.1 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 34.5 პროცენტი - ფრინველის, 15.5 პროცენტი - ღორის, 9.9 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

2018 წლის განმავლობაში დაკლული პირუტყვიდან 5,343.8 ტონა შესყიდული იყო სასაკლაოს მიერ, საიდანაც 43.0 პროცენტი მოდის თხისა და ცხვრის ხორცზე, 26.3 პროცენტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო 30.7 პროცენტი - ღორის ხორცზე.

მომსახურება გაეწია 42.9 ათას პირს, საიდანაც 45.2 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1032 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 24.7 ლარი, ცხვრის ან თხის - 11.2 ლარი, ხოლო ღორის - 21.5ლარი.

სასაკლაოების უმრავლესობა (49.1 პროცენტი) სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 48.2 პროცენტი აღჭურვილია ნაწილობრივ, ხოლო 2.7 პროცენტი არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სასაკლაოების 69.6 პროცენტი არ სარგებლობს სესხით, ხოლო 30.4 პროცენტს აღებული აქვს სესხი სხვადასხვა მიზნით: 60.9 პროცენტს - ძირითადი კაპიტალის შეძენისთვის, ხოლო 39.1 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის.

სასაკლაოების 27.8 პროცენტი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობა ახდენს. სასაკლაოების 19.6 პროცენტი მნიშვნელოვან ფაქტორად კომუნალური გადასახადების სიდიდეს ასახელებს, 17.9 პროცენტი - თანამშრომელთა კვალიფიკაციას, 10.1 პროცენტის აზრით, კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა, 9.3 პროცენტის აზრით - სახელმწიფო გადასახადების სიდიდე, 8.4 პროცენტის აზრით - სუსტი კავშირი მწარმოებლებთან და 6.9 პროცენტის აზრით კი - მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნა.

სამაცივრე მეურნეობები

2018 წელს საქართველოში 101 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის რეგიონშია (45.5 პროცენტი) განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქვემო ქართლის (11.9 პროცენტი), ქ. თბილისში (10.9 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (9.9 პროცენტი), კახეთის (8.9 პროცენტი), იმერეთის (6.9 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (3.0 პროცენტი), გურიის (2.0 პროცენტი) და სამცხე-ჯავახეთის (1 პროცენტი) რეგიონში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები
რეგიონების მიხედვით, 2018 წელი



2018 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 654 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 372 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 907 კაცით განისაზღვრა.

2018 წლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 244.8 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 51.9 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 26.9 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 8.7 პროცენტი - თევზეული, 7.5 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 3,4 პროცენტი რძის პროდუქტები, ხოლო დანარჩენ პროდუქტებს 1.6 პროცენტი უკავია:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2018 წელი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2018 წლის განმავლობაში შესყიდულია 13.7 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 16.0 მლნ. ლარი შეადგინა.

2018 წლის განმავლობაში განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 119.4 მლნ. ლარის ღირებულების (29.4 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (52.4 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 87.3 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (51.1 პროცენტი), თევზეული (23.1 პროცენტი) და ქათამის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (15.5 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 8.1 პროცენტი უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს ქათმის ხორცი, ხილი და ბოსტნეული წარმოადგენდა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 55.3 პროცენტს, თებერვალში - 59.3 პროცენტს, მარტში - 59.2 პროცენტს, აპრილში - 57.2 პროცენტს, მაისში - 55.9 პროცენტს, ივნისში - 52.9 პროცენტს, ივლისში - 52.5 პროცენტს, აგვისტოში - 53.0 პროცენტს, სექტემბერში - 51.1 პროცენტს, ოქტომბერში - 59.1 პროცენტს, ნოემბერში - 59.1 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 56.8 პროცენტს.

სამაცივრე მეურნეობების 52.3 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 46.2 პროცენტი - სრულად, ხოლო 1.5 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 65.8 პროცენტი. აქედან, 29.8 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებულის გაუმჯობესების მიზნით), 59.6 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 10.6 პროცენტს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

სამაცივრე მეურნეობების 17.7 პროცენტი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენ-ტუნარიანობაზე ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა ახდენს. 12.1 პროცენტის აზრით, კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობა, 11.4 პროცენტს - კომუნალური გადასახადების სიდიდე, 10.6 პროცენტს - სუსტი კავშირი მწარმოებლებთან, 10.0 პროცენტს - სახელმწიფო გადასახადების სიდიდე, 8.5 პროცენტს - თანამშრომელთა კვალიფიკაცია, 5.8 პროცენტს - მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნა.

ელევატორები

2018 წელს საქართველოში 29 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (34.5 პროცენტი) და შიდა ქართლის (34.5 პროცენტი) რეგიონებში იყო განთავსებული. ელევატორების 17.2 პროცენტი ფუნქციონირებს ქ.თბილისში, 10.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და 3.4 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2018 წელი



2018 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 16 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 108 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 1091 კაცით განისაზღვრა.

2018 წლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 524.4 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 74.8 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, 11.3 პროცენტს სოიოს შროტი, 7.1 პროცენტს სიმინდი, 3.8 პროცენტს ხორბლის ფქვილი, 1 პროცენტს ალაო, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2018 წელი



2018 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 250.5 მლნ. ლარის ღირებულების 358.0 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 62.8 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

მომსახურების საფასურმა 0,5 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო გადამუშავებასა და შენახვაზე გაწეულმა დანახარჯებმა კი - 3,5 მლნ. ლარი.

2018 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი - 42.1 პროცენტი, ხორბალზე მოდიოდა.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით ჭარბობდა ხორბლის ფქვილი (რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 84.9 პროცენტი) და ქატო (14,0 პროცენტი).

ელევატორების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე რეალიზებული იქნა მხოლოდ სოიოს შროტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 33.1 პროცენტს, თებერვალში - 33.5 პროცენტს, მარტში - 31.6 პროცენტს, აპრილში - 37.2 პროცენტს, მაისში - 32.9 პროცენტს, ივნიში - 32.8 პროცენტს, ივლისში - 30.6 პროცენტს, აგვისტოში - 32.6 პროცენტს, სექტემბერში - 33.3 პროცენტს, ოქტომბერში - 36.3 პროცენტს, ნოემბერში -37.7 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 37.1 პროცენტს.

ელევატორების 34.5 პროცენტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 17.2 პროცენტი - ნაწილობრივ, ხოლო 48.3 პროცენტი საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს ელევატორების 41.4 პროცენტი. აქედან 30.0 პროცენტს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებული გაუმჯობესების მიზნით), 70.0 პროცენტს საბრუნავი კაპიტალისათვის.

ელევატორების 11.7 პროცენტი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობა ახდენს. 8.3 პროცენტი მნიშვნელოვან ფაქტორად მომსახურებაზე დაბალ მოთხოვნას ასახელებს,7.2 პროცენტი - სუსტ კავშირს მწარმოებლებთან, 6.9 პროცენტი - კომუნალური გადასახადებისა და სახელმწიფო გადასახადების სიდიდეს, 6.6 პროცენტი - თანამშრომელთა კვალიფიკაციას და ფინანსურ რესურსებზე სუსტ ხელმისაწვდომობას ასახელებს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge